საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„მოდი, აქ დაჯექ, ქალო“

„მოდი, აქ დაჯექ, ქალო“, „მოდი, აქ დაჯექ, შვილო“, ქართული საყოფაცხოვრებო ჟანრის სამხმიანი ორპირული (ორგუნდოვანი) საფერხულო, ვაჟებისადმი მიმართული დამრიგებლურ-აღმზრდელობითი ხასიათის სიმღერა. იგი ა. ბალანჩივაძემ გამოიყენა ფილმ „გიორგი სააკაძეში“ (1943, რეჟ. მ. ჭიაურელი), რ-შიც, სიუჟეტიდან გამომდინარე, ტექსტის დასაწისი შეიცვალა სიტყვებით: „მოდი, აქ დაჯექ, ქალო“. ჩანს, ამის შემდეგ სიმღერის სათაურმა ცვლილება განიცადა და ზოგი ანსამბლი ამ სახით მღეროდა.

ლიტ.: ს ვ ა ნ ი ძ ე გ., ქართული ხალხური სიმღერები, თბ., 2021; ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე გრ., ქართული ხალხური მუსიკა, თბ., 1965.

მ. ჯაფარიძე